ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7319083

ნომერი: AR11069324

თარიღი : 09.12.2024

გაცემის თარიღი : 16.12.2024

გაცნობის თარიღი : 16.12.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ადელინა მამედოვა პ/ნ 35001044218
- დიღმის მასივი, მე2 კვარტალი, კორპ. 17, ბინა 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 აპრილის №7004982 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 09 დეკემბერს №AR11069324 განცხადებით მომართა ადელინა მამედოვამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის

26 აპრილის №7004982 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 აპრილის №7004982 ბრძანებით №01.14.05.008.410 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2024 წლის 19 ივლისის №7137455 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 26 აპრილის №7004982 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობად დაფიქსირდა 28678.10 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 15261.30 კვ.მ., საოფისე ფართობად 758.10 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 3302.30 კვ.მ., დამხმარე ფართობად 493.50 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 4544.80 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2024 წლის 26 აპრილის №7004982 ბრძანებით შეთანხმებული -6.00, 0.00, +4.20, +38.20, +41.50, +44.80, +48.10, +51.40, +54.70, +58.00, +61.30, +64.60 და +67.90 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა №AR11047470 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 აპრილის №7004982 ბრძანებით შეთანხმებულ +4.20, +15.10, +31.60, +34.90, +51.40 და +67.90 ნიშნულების გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ფართობების მითითებასთან დაკავშირებით, რაც წარმოდგენილ ამავე ნიშნულების გეგმებზე გასწორებულია. შესაბამისად, ითხოვს წარმოდგენილი გეგმების ჩანაცლვებას.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი სამსახურის 2024 წლის 26 აპრილის №7004982 ბრძანებით შეთანხმებული +4.20, +15.10, +31.60, +34.90, +51.40 და +67.90 ნიშნულების გეგმები არ იცვლება აღნიშნულ გეგმებზე ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება. ამასთან, წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლება არ იწვევს სამსახურის 2024 წლის 26 აპრილის №7004982 ბრძანებაში (სამსახურის 2024 წლის 19 ივლისის № 7137455 ბრძანების გათვალისწინებით) დაფიქსირებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 აპრილის №7004982 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 აპრილის №7004982 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +4.20, +15.10, +31.60, +34.90, +51.40 და +67.90 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 აპრილის №7004982 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 26 აპრილის №7004982 და 2024 წლის 19 ივლისის № 7137455 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.